

საერთაშორისო საპატენტო კლასიფიკაცია

მეშვილე რელაქსია (1999)

ტომი 9

შესავალი,
განყოფილებების, კლასების,
ქვეკლასებისა და პირითაღი
ჯგუფების ჩამონათვალი



World Intellectual Property
Organization



საქპატენტი

ინტელექტუალური საკუთრების
ეროვნული ცენტრი

საერთაშორისო საპატენტო კლასიფიკაცია

მეშვიდე რედაქცია (1999 წელი)

ტომი 9

შესავალი,
განყოფილებების, კლასების,
ქვეკლასებისა და პირითადი
ჯგუფების ჩამონათვალი



World Intellectual Property
Organization



საქართველო

ინტელექტუალური საკუთრების
ეროვნული ცენტრი

საპატენტო კლასიფიკაციის წინამდებარე მეშვიდე რედაქცია წარმოადგენს
ისმრ-ს მიერ ინგლისურ და ფრანგულ ენებზე ოფიციალურად გამოცემული კლასიფიკაციის
ავთენტიკურ თარგმანს.

წარმოდგენილი კლასიფიკაციის გადასინჯული ვერსია მიღებული და დამტკიცებულია
1998 წელს. მეშვიდე რედაქცია ძალაში შევიდა 2000 წლის 1 იანვარს.

თარგმანი მომზადებულია ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის
“საპატენტის” მიერ, არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის
ტერმინოლოგიის განყოფილებასთან თანამშრომლობით.

ყველა უფლება დაცულია. საავტორო უფლებების მფლობელთა ნებართვის გარეშე,
დაუშვებელია მოცემული გამოქვეყნების რომელიმე ნაწილის გადაღება ნებისმიერი
საშუალებით (ელექტრონული, მექანიკური, ფოტოკოპირება, ჩაწერა და სხვ.).

© ისმრ, 1999 (ინგლისურ და ფრანგულ ენებზე)

© საქპატენტო, 2007 (ქართულ ენაზე)

კლასიფიკაცია ცოდნის ნებისმიერ სფეროში სისტემატიზაციის ინსტრუმენტი, რომელიც საჭირო მასალების ინდექსირებისა და შერჩევის საშუალებას იძლევა.

საპატენტო დოკუმენტაციის ინდექსაციისათვის გამომწვევად კლასიფიკაციებს გამოგონებათა ან საპატენტო კლასიფიკაციებს უწოდებენ. ისინი წარმოადგენენ ტექნიკური ცნებების განაწილების მრავალსაფეხურიან ურთიერთდაკავშირებულ სისტემებს, რომლებიც ორგანიზებულია პრინციპით – “ზოგადიდან კერძოსაკენ”.

საპატენტო კლასიფიკაციები პირველად შეიქმნა XIX საუკუნეში გერმანიაში, ღიდ ბრიგანეთსა და აშშ-ში, და დაკავშირებული იყო ამ ქვეყნებში მეცნიერებისა და ტექნოლოგიების სწრაფ განვითარებასა და მრეწველობის სხვადასხვა სფეროში შექმნილი გამოგონებების მზარდ გამოყენებასთან.

ცალკეულ ქვეყნებში ტექნოლოგიური განვითარების თავისებურებებმა, საპატენტო კანონებსა და საპატენტო პრაქტიკაში არსებულმა განსხვავებებმა ეროვნული კლასიფიკაციების სტრუქტურისა და შინაარსის განსხვავება განაპირობა.

XX საუკუნეში გაჩნდა გამოგონებების უნივერსალური კლასიფიკაციის შექმნის მოთხოვნილება, რაც ნაკარნახევი იყო ქვეყნებს შორის საპატენტო დოკუმენტაციის გაცვლის გაადვილების, მათი გამოყენების უნიფიცირებისა და, აგრეთვე, საპატენტო ძიების საშუალებების მექანიზაციის აუცილებლობით.

1951 წელს ევროპის რამდენიმე სახელმწიფოს შორის მოლაპარაკებათა შემდგომ დაიწყო მუშაობა საერთაშორისო საპატენტო კლასიფიკაციის შექმნაზე. საერთაშორისო საპატენტო კლასიფიკაციის შესახებ ხელშეკრულება დაიდო 1971 წელს სტრასბურგში.

საერთაშორისო საპატენტო კლასიფიკაცია შეიცავს 10 ტომს, რომელთაგან 8 გამოგონებათა კლასების საძიებელია. ხოლო, მე-9 და მე-10 ტომები საერთაშორისო საპატენტო კლასიფიკაციის გამოყენების სპეციალური სახელმძღვანელოებია.

ტექნოლოგიების განვითარების თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად, რეგულარულად ხდება საერთაშორისო საპატენტო კლასიფიკაციის გადასინჯვა. ყოველ 5 წელიწადში ქვეყნდება კლასიფიკაციის ახალი რედაქცია.

უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება ეროვნულ ენებზე საერთაშორისო საპატენტო კლასიფიკაციის არსებობას. ის მხოლოდ სისტემატიზაციის ინსტრუმენტი კი არ არის, არამედ გამოიყენება, როგორც ტექნიკური ტერმინოლოგიის ლექსიკონი, ასევე დაზუსტებულ ტერმინოლოგიას უდიდესი მნიშვნელობა აქვს ინტელექტუალური საკუთრების სფეროში სამართლებრივი საკითხების რეგულირებისათვის. ამჟამად საერთაშორისო საპატენტო კლასიფიკაცია არსებობს 10 ენაზე.

ქართულ ენაზე ითარგმნა კლასიფიკაციის ფუძემდებლური ნაწილი – მე-9 ტომი, რომელშიც მოცემულია საერთაშორისო კლასიფიკაციის ნაწილების, კლასების, ქვეკლასებისა და ძირითადი ჯგუფების ჩამონათვალი. ქართულ ენაზე კლასიფიკაციის არსებობა ხელს შეუწყობს საპატენტო-საძიებო სამუშაოების მაღალ დონეზე წარმართვასა და თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად ქართული ტექნიკური ტერმინოლოგიის განვითარებას.

წინამდებარე კლასიფიკაციაზე მუშაობისას, თანამშრომლობისთვის მოწვეულნი იყვნენ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სპეციალისტები. წარმოდგენილი თარგმანი არის “საქპატენტისა” და საქართველოს არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის ერთობლივი შრომის შედეგი.

ვაცნობიერებთ რა, რომ კლასიფიკაციის ქართულ ენაზე თარგმნის პირველი მცდელობა არ შეიძლება დაზღვეული იყოს ხარვეზებისაგან, მაღლიერებით მივიღებთ მის სრულყოფასთან დაკავშირებით გამოთქმულ ყველა შენიშვნას, სურვილსა და კეთილ რჩევას.

ინტელექტუალური საკუთრების
ეროვნული ცენტრის „საქპატენტის“
გენერალური დირექტორი

დავით გაბუნია

შინაარსი

პარაგრაფები

I. წინასიტყვაობა	1 – 13
II. არქიტექტონიკა და საკლასიფიკაციო სიმბოლოების გამოყენება; იერარქიული სტრუქტურა; ტერმინოლოგია; რუბრიკების მოცულობა	14 – 48
ბანყოფილება	15
განყოფილების სიმბოლო	
განყოფილების სათაური	
განყოფილების შინაარსი	
ქვეგანყოფილება	
კლასი	16
კლასის სიმბოლო	
კლასის სათაური	
კლასის ინდექსი	
ქვეკლასი	17
ქვეკლასის სიმბოლო	
ქვეკლასის სათაური	
ქვეკლასის ინდექსი	
ჯგუფი	18
ჯგუფის სიმბოლო	
ძირითადი ჯგუფის სიმბოლო	
ძირითადი ჯგუფის სათაური	
ქვეჯგუფის სიმბოლო	
ქვეჯგუფის სათაური	
სრული საკლასიფიკაციო სიმბოლო	19
ქვესათაურები	20
კლასიფიკაციის იერარქიული სტრუქტურა	21 – 24
მრავალნაწილიანი სათაურები	25
მითითებები	26 – 27
მითითებების ფუნქციები	
მოცულობის შეზღუდვა	
უპირატესობის მითითება	
მითითება	
მითითებების გამოყენება და ინტერპრეტაცია	28
შენიშვნები	29
წინა რეაქციებში შეტანილი ცვლილებების მითითება	30
ტერმინოლოგია	31 – 42
„გათვალისწინებულია“, „მოცულია“, „შედს“	32
გამოთქმები, რომლებიც გამოყენებულია დარჩენილი ობიექტის აღსანიშნავად	33 – 35
„ე.ი.“, „მაგალითად“	36 – 37
„A და B“, „A ან B“, „ან A, ან B, მაგრამ არა ორივე ერთად“	38
„მოგადალ“, „როგორც ასეთი“, „სპეციალურად ადაპტირებულითვის“	39 – 41
„ან მსგავსი“	42

რუბრიკების მოცულობა	43 – 48
ქვეკლასები	44
ძირითადი ჯგუფები	45
ქვეჯგუფები	46 – 48
III. კლასიფიკაციის პრინციპები; კლასიფიკაციის წესები	49 – 73
ბამოზონების ტექნიკური ობიექტი	50 – 51
კლასიფიკაციის რუბრიკები ბამოზონების ტექნიკური ობიექტების კლასიფიკაციისათვის	52 – 56
ბამოზონების ტექნიკური ობიექტის კლასიფიკაცია	57 – 71
ზოგადი შენიშვნები	57 – 62
ქიმიური ნაერთები	63
ქიმიური ნარევი და კომპოზიციები	64
ქიმიური ნაერთების მიღება და დამუშავება	65
მოწყობილობები ან ხერხები	66
ნაკეთობები	67
მრავალეგაპიანი ხერხები, აგრეგატები	68
დეტალები, კონსტრუქციული ნაწილები	69
ერთზე მეტი ტექნიკური ობიექტი; ერთი ობიექტი, რომელიც შედის რამდენიმე ჯგუფში; ზოგადი ქიმიური ფორმულა (ე.წ. მარკუშის ფორმულა).....	70 – 71
კლასიფიკაციის მეთოდი	72 – 73
ბოლო რუბრიკის წესი	
სხვა წესები	
IV. ჰიბრიდული სისტემები	74 – 81
კოდირების დაკავშირებული ინდექსები; კოდირების დაუკავშირებელი ინდექსები ...	78
კოდირების ინდექსების გამოყენება	80 – 81
V. საკლასიფიკაციო ან საინდექსაციო ობიექტი; საკლასიფიკაციო სიმბოლოებისა და კოდირების ინდექსების ჩანერა;	
„X“ პირობითი აღნიშვნა	82 – 93
ინფორმაცია ბამოზონების შესახებ; დაბატებითი ინფორმაცია	83
ბამოზონების შესახებ ინფორმაციისა და დაბატებითი ინფორმაციის აღნიშვნა	84 – 85
საპალაუმო კლასიფიკაცია	86
არასაპალაუმო კლასიფიკაცია; არასაპალაუმო ინდექსაცია	87
საკლასიფიკაციო სიმბოლოებისა და კოდირების ინდექსების ჩანერა	88 – 90
„X“ პირობითი აღნიშვნა	91 – 93

I. წინასიტყვაობა

1. სტრასბურგის შეთანხმება საერთაშორისო საპატენტო კლასიფიკაციის შესახებ (1971 წ.) ძალაში შევიდა 1975 წლის 7 ოქტომბერს. შეთანხმება ითვალისწინებს ერთიანი საკლასიფიკაციო სისტემის შექმნას, რომელიც მოიცავს პატენტებს გამოგონებებზე, გამოქვეყნებული საპატენტო განაცხადების, სააფგორო მოწმობების, სასარგებლო მოდელებისა და სარგებლიანობის შესახებ მოწმობების (შემდგომ – საპატენტო დოკუმენტები) ჩათვლით. საერთაშორისო საპატენტო კლასიფიკაციის ნაცვლად შემდგომში გამოიყენება ტერმინი „კლასიფიკაცია“.
2. კლასიფიკაციის, როგორც საპატენტო დოკუმენტების საერთაშორისო უნიფიცირებული კლასიფიცირების საშუალების, ძირითადი დანიშნულებაა ეფექტური საძიებო სისტემის შექმნა საპატენტო უწყებებისა და სხვა მომხმარებელთა მიერ საპატენტო დოკუმენტების მოსაძიებლად, საპატენტო განაცხადების სიახლის დადგენისა და საგამომგონებლო დონის (ტექნიკური წინსვლისა და სასარგებლო შედეგების ჩათვლით) შეფასების მიზნით.
3. გარდა ამისა, კლასიფიკაცია, უპირველეს ყოვლისა, გამოიყენება, როგორც:
 - ა) ინსტრუმენტი საპატენტო დოკუმენტების სისტემატიზაციისათვის, ამ დოკუმენტებში არსებული ტექნიკური და სამართლებრივი ინფორმაციის წვდომის გამარტივების მიზნით;
 - ბ) საპატენტო ინფორმაციის მომხმარებლებისათვის ინფორმაციის შერჩევითი გავრცელების ბაზისი;
 - გ) ცალკეულ სფეროში ტექნიკის დონის განსაზღვრის საფუძველი;
 - დ) სამრეწველო საკუთრების სფეროში სტატისტიკური მონაცემების მომზადების საფუძველი, რაც, თავის მხრივ, სხვადასხვა დარგების ტექნოლოგიური განვითარების შეფასების შესაძლებლობას იძლევა;
4. კლასიფიკაციის პირველი რედაქციის ტექსტი შედგენილია გამოგონებაზე პატენტების საერთაშორისო კლასიფიკაციის შესახებ 1954 წლის ევროპული კონვენციის დებულებების შესაბამისად.
5. ტექნიკის განვითარების გათვალისწინებით, სისტემის გაუმჯობესების მიზნით კლასიფიკაცია პერიოდულად გადაისინჯება.
6. კლასიფიკაციის პირველი რედაქცია მოქმედებდა 1968 წლის 1 ოქტომბრიდან 1974 წლის 30 ივნისამდე, მეორე რედაქცია – 1974 წლის 1 ივლისიდან 1979 წლის 11 დეკემბრამდე, მესამე რედაქცია – 1980 წლის 1 იანვრიდან 1984 წლის 31 დეკემბრამდე, მეოთხე რედაქცია – 1985 წლის 1 იანვრიდან 1989 წლის 31 დეკემბრამდე, მეხუთე რედაქცია – 1990 წლის 1 იანვრიდან 1994 წლის 31 დეკემბრამდე, მეექვსე რედაქცია – 1995 წლის 1 იანვრიდან 1999 წლის 31 დეკემბრამდე. წინამდებარე (მეშვიდე) რედაქცია ძალაში შევიდა 2000 წლის 1 იანვარს. 2006 წლის 1 იანვრიდან ძალაშია მერვე რედაქცია.
7. ზემოაღნიშნული შეთანხმების მე-4(5) მუხლის შესაბამისად, კლასიფიცირებულ გამოქვეყნებულ საპატენტო დოკუმენტებში საკლასიფიკაციო სიმბოლოების წინ სიგყვების – „საერთაშორისო საპატენტო კლასიფიკაციის“ ნაცვლად, აბრევიატურის – „სპ“ (Int.Cl.) გამოყენება.
8. კლასიფიკაციის მოცემული რედაქციის შესაბამისად გამოქვეყნებული კლასიფიცირებული საპატენტო დოკუმენტები, აბრევიატურის შემდეგ, უნდა შეიცავდეს ამ რედაქციაზე მითითებას სტრიქონზედა არაბული ციფრის სახით. ამრიგად, მე-5 რედაქციის შესაბამისად კლასიფიცირებული დოკუმენტისათვის, რეკომენდებული აბრევიატურაა „სპ“; მეოთხე რედაქციის შესაბამისად კი – „სპ“⁴. მიუხედავად ამისა, როდესაც იგი შეესაბამება მე-5 რედაქციას, სტრიქონზედა არაბული ციფრი არ არის მითითებული და აღინიშნება მხოლოდ „სპ“.
9. კლასიფიკაცია შედგენილია ინგლისურ და ფრანგულ ენებზე, ამასთან, ორივე ტექსტი თანაბრად ავთენტიკურია.
10. ზემოაღნიშნული სტრასბურგის შეთანხმების მე-3(2) მუხლის შესაბამისად, კლასიფიკაციის ოფიციალური ტექსტები შეიძლება შედგენილი იყოს სხვა ენებზეც. მაგალითად, კლასიფიკაციის მეექვსე რედაქციის სრული ტექსტი შემუშავებულია ჩინურ, ჩხურ, გერმანულ, უნგრულ, იაპონურ, კორეულ, პოლონურ, რუსულ და ესპანურ ენებზე.

11. შესავალში საპატენტო დოკუმენტების კლასიფიცირებისა და მოძიების მიზნით მარტივი ტერმინებითა და მაგალითებითაა აღწერილი კლასიფიკაციის გამოყენების წესები. კლასიფიკაციით სარგებლობის გასაადვილებლად მოცემულია საკვანძო სიტყვების მაჩვენებელი (Catchword Index), რომელიც შედგენილია ინგლისურ, ფრანგულ და სხვა ენებზე. ამავე მიზანს ემსახურება კლასიფიკაციის „სახელმძღვანელო“ (Introductory Manual), რომლის შექმნა შესაძლებელია ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციაში (ისმო). გარდა ამისა, ისმო აქვეყნებს სპეციალურ გამოცემას (სახელწოდებით „გადასინჯვის შესაბამისობის სია“ (“Revision Concordance List“), რომელიც აჩვენებს, გადასინჯვის შედეგად როგორ გადაინაცვლებს ობიექტი კლასიფიკაციის რუბრიკებში; პირველი სია (გამოქვეყნდა 1980 წელს) ეხება მეორე რედაქციის გადასინჯვას, მეორე სია (გამოქვეყნდა 1984 წელს) ეხება მესამე რედაქციის გადასინჯვას, მესამე სია (გამოქვეყნდა 1989 წელს) ეხება მეოთხე რედაქციის გადასინჯვას, მეოთხე სია (გამოქვეყნდა 1994 წელს) ეხება მეხუთე რედაქციის გადასინჯვას და, ბოლოს, მეხუთე სია (გამოქვეყნდა 1999 წელს) ეხება მეექვსე რედაქციის გადასინჯვას. აღნიშნული გამოცემები დახმარებას უწევს მომხმარებლებს კლასიფიკაციის მეორე, მესამე, მეოთხე, მეხუთე, მეექვსე და მეშვიდე რედაქციების გამოყენებისას.

12. კლასიფიკაციის გამოყენებისას დახმარებისათვის და გადასინჯვის შედეგად რუბრიკებში ობიექტის გადანაცვლების შესახებ ინფორმაციის მისაღებად მომხმარებელმა შეიძლება ისარგებლოს სსკ კლასების კომპაქტ-დისკითაც (IPC:CLASS CD-ROM), რომელიც გამოსცა ისმოს საერთაშორისო ბიურომ გერმანიის პატენტებისა და სასაქონლო ნიშნების უწყებასთან თანამშრომლობით. ისმო-ში შესაძლებელია კლასიფიკაციის მეშვიდე რედაქციის კომპაქტ-დისკის შექმნა, რომელიც შეიცავს კლასიფიკაციის შეიდეგ რედაქციას ინგლისურ და ფრანგულ ენებზე, ცალკეულ რედაქციებს გერმანულ, უნგრულ, რუსულ და ესპანურ ენებზე, საკვანძო სიტყვათა მაჩვენებელს, აგრეთვე, მონაცემებს გადასინჯვათა შესაბამისობისა და კლასიფიკაციაში გამოყენებული ყველა სიმბოლოს შესახებ.

13. კლასიფიკაციასთან დაკავშირებულ საკითხებზე მიმოწერა შესაძლებელია მისამართზე:
World Intellectual Property Organization (WIPO)
34, Chemin des Colombettes
1211 – Geneva 20 (Switzerland).

II. არქიტექტონიკა და საკლასიფიკაციო სიმბოლოების გამოყენება; იერარქიული სტრუქტურა; ტერმინოლოგია; რუბრიკების მოწოდება

14. არქიტექტონიკა, საკლასიფიკაციო ინდექსების გამოყენება, იერარქიული სტრუქტურა და კლასიფიკაციის სხვა ასპექტები განმარტებულია ქვემოთ, ამ სახელმძღვანელოს მე-7 და მე-8 გვერდებზე მოცემულ სანიმუშო ფურცლებზე მითითებით [ეს გვერდები არ არის ასახული IPC:CLASS-ში]. თუ ჰიბრიდულ სისტემებთან დაკავშირებული არქიტექტონიკა და კოდირების ინდექსების გამოყენება განსხვავდება იმისაგან, რაც მოცემულია ქვემოთ საკლასიფიკაციო ინდექსებისათვის, მაშინ ისინი აღწერილია IV თავში.

განყოფილება

15. კლასიფიკაცია მოიცავს ცოდნის ყველა სფეროს, რომლის ობიექტები შეესაბამება საპატენტო დაცვის ობიექტებს და დაყოფილია რვა განყოფილებად.

- ა) **განყოფილების სიმბოლო** – თითოეული განყოფილება აღნიშნულია ლათინური ანბანის ერთ-ერთი მთავრული ასოთი A-დან H-მდე.
- ბ) **განყოფილების სათაური** – განყოფილების სათაური ზოგადად ასახავს განყოფილების შინაარსს. რვა განყოფილება დასათაურებულია შემდეგნაირად:
 - A ალამიანის პირველადი მოთხოვნების საბნები
 - B ტექნოლოგიური პროცესები; ტრანსპორტირება
 - C ქიმიკა; მეტალურგია
 - D საფეხქო ნაწარმი; ქაღალდი
 - E მშენებლობა; სამთო საქმი; სტაციონარული ნაგებობები
 - F მექანიკა; ბანათმბა; ბათობა; იარაღი; ასაწმენკავალი სამუშაოები
 - G ფიზიკა
 - H ელექტრობა
- გ) **განყოფილების შინაარსი** – თითოეული განყოფილების სათაურს ერთვის მისი ძირითადი ქვედანაყოფების სათაურები.
- დ) **ქვეგანყოფილება** – განყოფილებების შიგნით საინფორმაციო ქვესათაურები ქმნის ქვეგანყოფილებებს, რომელთა სათაურები არ არის აღნიშნული ინდექსით.
მაგალითად: სოფლის მეურნეობა.

კლასი

- 16. თითოეული განყოფილება იყოფა კლასებად.
 - ა) **კლასის სიმბოლო** – შედგება განყოფილების ინდექსისა და ორნიშნა რიცხვისაგან.
მაგალითად: A 01
 - ბ) **კლასის სათაური** – ასახავს კლასის შინაარსს.
მაგალითად: A 01 სოფლის მეურნეობა; სატყეო მეურნეობა; მცენარეულობა; ნაღირობა და ცხოველთა ჭირა; თევზჭირა და მთიანეთობა,
 - გ) **კლასის ინდექსი** – ზოგიერთ კლასს აქვს ინდექსი, რომელიც იძლევა ინფორმაციას ამ კლასის შინაარსის შესახებ.

ქვეკლასები

- 17. ყოველი კლასი შეიცავს ერთ ან მეტ ქვეკლასს.
 - ა) **ქვეკლასის სიმბოლო** – შედგება კლასის ინდექსისა და ლათინური ანბანის მთავრული ასოებისაგან.
მაგალითად: A 01 B
 - ბ) **ქვეკლასის სათაური** – მაქსიმალური სიზუსტით უთითებს ქვეკლასის შინაარსს.
მაგალითად: A 01 B ნიადაგის დამუშავება სოფლის ან სატყეო მეურნეობაში; სასოფლო-სამეურნეო მანქანების ან იარაღების ნაწილები, დეტალები ან საკუთნო, გოგალად
 - გ) **ქვეკლასის ინდექსი** – ზოგიერთ ქვეკლასს აქვს ინდექსი, რომელიც არის მისი შინაარსის საინფორმაციო შეჯამება და იძლევა ამ ქვეკლასის შინაარსის აღწერას.

ჯგუფი

18. თითოეული ქვეკლასი დაყოფილია ქვედანაყოფებად (შემდგომ “ჯგუფები”), რომლებიც წარმოადგენს ძირითად ჯგუფებს ან ქვეჯგუფებს.

- ა) **ჯგუფის სიმბოლო** – თითოეული ჯგუფის სიმბოლო შედგება ქვეკლასის სიმბოლოსაგან, რომელსაც ერთვის დახრილი ხაზით განცალკევებული ორი რიცხვი.
- ბ) **ძირითადი ჯგუფის სიმბოლო** – თითოეული ძირითადი ჯგუფის სიმბოლო შედგება ქვეკლასის სიმბოლოსაგან, რომელსაც ერთვის ერთიდან სამნიშნამდე რიცხვი, დახრილი ხაზი და ციფრი 00.

მაგალითად: A 01 B 1/00

- გ) **ძირითადი ჯგუფის სათაური** – განსაზღვრავს ობიექტის სფეროს, რომელიც გამოიყენება ძიების მიზნებისათვის. კლასიფიკაციაში ძირითადი ჯგუფის სიმბოლოები და სათაურები გამოყოფილია შავი შრიფტით.

მაგალითად: A 01 B 1/00 ხელის იარაღები.

- დ) **ქვეჯგუფის სათაური** – ძირითად ჯგუფების მსგავსად, ქვეჯგუფი ქმნის ქვედანაყოფებს. თითოეული ქვეჯგუფის სიმბოლო შედგება ქვეკლასის სიმბოლოსაგან, რომელსაც ერთვის მისი ძირითადი ჯგუფის ერთიდან სამნიშნამდე რიცხვი, დახრილი ხაზი და არანაკლებ ორნიშნა რიცხვისა 00-ის გარდა.

მაგალითად: A 01 B 1/02

დახრილი ხაზის შემდეგ, ყოველი მესამე ან მომდევნო ციფრი გაიგება როგორც წინა ციფრის მეათედი ქვედანაყოფი, მაგალითად, 3/426 უნდა მოჰყვებოდეს 3/42-ს და უნდა იყოს 3/43-ის წინ, ხოლო 5/1185 კი – 5/118-ს, მაგრამ უნდა იყოს 5/119-ის წინ.

- ე) **ქვეჯგუფის სათაური** – განსაზღვრავს იმ ობიექტის სფეროს ძირითადი ჯგუფის ფარგლებში, რომელიც მიზანშეწონილია ძიების მიზნებისათვის. სათაურის წინ დაისმის ერთი ან რამდენიმე წერტილი, რაც მიუთითებს ქვეჯგუფის ადგილზე იერარქიაში, ე. ი. აღნიშნავს, რომ თითოეული ქვეჯგუფი ქმნის მის ზემოთ მდგომი უახლოესი ჯგუფის ქვედანაყოფს, რომელსაც აქვს ერთი წერტილით ნაკლები. (იხ. პუნქტები 22–24). ქვეჯგუფის სათაური ხშირად სრული ფრაზაა, რომელიც იწყება მთავრული ასოთი. ქვეჯგუფის სათაური იწყება ჩვეულებრივი ასოთი, თუ ის იკითხება როგორც შემდეგი უფრო ზემდგომი ნაკლებად დანაწევრებული (რომელსაც ერთი წერტილით ნაკლები აქვს) ჯგუფის სათაურის გაგრძელება. **ყველა შემთხვევაში, ქვეჯგუფის სათაური დამოკიდებული და შეზღუდულია იმ ჯგუფის სათაურით, რომელსაც ექვემდებარება.**

მაგალითები: A 01 B 1/00 ხელის იარაღები
1/24 . პაგარა მდელოების ან გამოხების დასამუშავებლად
1/24-ის სათაური იკითხება როგორც: „ხელის იარაღები მდელოების ან გამოხების დასამუშავებლად“.

A 01 B 1/00 ხელის იარაღები
1/16 . სამარგლავე იარაღები
1/16-ის სათაური სრული ფრაზაა, მაგრამ მისი იერარქიული ადგილის გამო, შეზღუდულია მხოლოდ ხელის სამარგლავე იარაღებით.

სრული საკლასიფიკაციო სიმბოლო

19. სრული საკლასიფიკაციო სიმბოლო შეიცავს განყოფილებების, კლასის, ქვეკლასის, ძირითადი ჯგუფის ან ქვეჯგუფის აღსანიშნავად გამოყენებული სიმბოლოების კომბინაციას.

მაგალითად:

A	0 1	B	1/00	ძირითადი ჯგუფი
განყოფილება			ან	
	კლასი		1/24	ქვეჯგუფი
		ქვეკლასი		
			ჯგუფი	

ქვესათაურები

20. თითოეულ ქვეკლასში ძირითადი ჯგუფები განლაგებულია ძიებისათვის მაქსიმალურად მოსახერხებელი თანამიმდევრობით. განლაგების სტანდარტიზაცია არაპრაქტიკული აღმოჩნდა. თუ თანამიმდევრობით განლაგებული ძირითადი ჯგუფების სიმრავლე ეხება საერთო ობიექტს, ჩვეულებრივ, პირველს მინიჭებული აქვს ქვესათაური, რომელიც ხაზგასმულია და აღნიშნავს ამ ობიექტს (იხ. მაგ., ქვესათაური „გუნები“ A 01 B 3/00). ასეთი ქვესათაური მოიცავს ჯგუფებს შემდეგ ქვესათაურამდე ან მუქი შრიფტით გამოყოფილ ხაზამდე; ეს ხაზი გამოიყენება იმ შემთხვევაში, როდესაც შემდეგი ჯგუფი ან ჯგუფები დაკავშირებულია სხვა ობიექტებთან, რომლებსაც არა აქვს მინიჭებული ქვესათაური (იხ. მაგ., ხაზი A 01 B 75/00 ჯგუფის შემდეგ). ეს ხაზი ცვლის პირველ ორ რედაქციაში გამოყენებულ წყვეტილ ხაზს. გამონაკლის შემთხვევებში, ქვესათაური შეიძლება ერთ ძირითად ჯგუფს ჰქონდეს. ქვესათაურის გაგენა რუბრიკის მოცულობაზე იხ. პუნქტები 44(გ) და 45.

კლასიფიკაციის იერარქიული სტრუქტურა

21. კლასიფიკაციის იერარქია შეესაბამება ცოდნის ყველა სფეროს დაყოფას რამდენიმე დონედ, იერარქიის დაღმავალი თანამიმდევრობით: განყოფილება, კლასი, ქვეკლასი, ძირითადი ჯგუფი და ქვეჯგუფი.

22. იერარქია ქვეჯგუფებს შორის განისაზღვრება მხოლოდ მათი სათაურების წინ დასმული წერტილების რაოდენობით, და არა ქვეკლასების ნუმერაციით.

- მაგალითად: C 08 C 1/06 . . . ლაგექსის დაკონსერვება (მაკონსერვებელი ნივთიერებები C 08 K)
- 1/065 . . . დისპერგირებული კაუჩუკის ნაწილაკების ზომების გაზრდა
- 1/07 . . . მათემატიკური აგენტების გამოყენებით
- 1/075 . . . კონცენტრირება
- 1/08 . . . დალექვის ხელშემწყობი საშუალებების დახმარებით

ეს მაგალითი გვიჩვენებს, რომ სამნიშნა ორწერტილიანი ქვეჯგუფები 1/065 და 1/075 იერარქიულად უფრო მაღლა მდგომია, ვიდრე ორნიშნა სამწერტილიანი ქვეჯგუფები, შესაბამისად, 1/07 და 1/08.

23. წერტილები გამოიყენება იერარქიული თვალსაზრისით უშუალოდ ზემდგომი (ნაკლებად დანაწევრებული) ჯგუფების სათაურების ნაცვლადაც, მათი გამეორების თავიდან აცილების მიზნით.

- მაგალითად: A 63 H 3/00 თოჯინები
- 3/36 . . . დეტალები და საკუთნო
- 3/38 . . . თვალები
- 3/40 . . . მოძრაობა.

იერარქიული დონის განმსაზღვრელი წერტილების გამოყენების გარეშე, A 63 H 3/40 ქვეჯგუფს უნდა ჰქონოდა სათაური: „თოჯინების მოძრაობა თვალები, როგორც თოჯინების დეტალები“.

24. იერარქიული სტრუქტურა ექვსწერტილიანი ქვეჯგუფის გამოყენებით ნაჩვენებია B 64 C 25/30 მაგალითზე:

განყოფილება:	B	ტექნოლოგიური პროცესები; ტრანსპორტირება
კლასი:	B 64	ჰაერნაოსნობა; ავიაცია, კოსმონავტიკა
ქვეკლასი:	B 64 C	თვითმფრინავები; შვეულმფრინავები
ძირითადი ჯგუფი:	B 64 C	25/00 დასაფრენი მოწყობილობები
ქვეჯგუფი 1 წერტილით:	25/02	. . . შასი
ქვეჯგუფი 2 წერტილით:	25/08	. . . მოძრაობად დამაგრებული; მაგალითად, ჩამოსაგდები
ქვეჯგუფი 3 წერტილით:	25/10	. . . ასაწევი, ასაკეცი, და სხვ.
ქვეჯგუფი 4 წერტილით:	25/18 ამძრავები
ქვეჯგუფი 5 წერტილით:	25/26 საკონტროლო და მართვითი მოწყობილობები
ქვეჯგუფი 6 წერტილით:	25/30 ავარიული.

პრაქტიკულად, B 64 C 25/30 რუბრიკა იკითხება, როგორც: „ამძრავების ავარიული საკონტროლო და მახლოკირებელი მოწყობილობები, ასაწვეი ან ასაკეცი მოძრავად დამაგრებული შასი, გამოყენებული თვითმფრინავებისა და შეუღლმფრენების დასაფრენ მოწყობილობებში“.

მრავალნაწილიანი სათაურები

25. ზოგიერთი სათაური შეიძლება შეიცავდეს წერტილ-მძიმით გამოყოფილ ორ ან მეტ განსხვავებულ ნაწილს. ამ სათაურების თითოეული ნაწილი დამოუკიდებლად წაიკითხება. ჩვეულებრივ, ამგვარი სათაურები გამოიყენება იმ განსხვავებული ობიექტების გასაერთიანებლად, რომელთაც ერთი ფრაზა ვერ მოიცავს.

მაგალითი: A 01 B 3/10 . . . წამწიან-კოჭური გუთნები; ერთკვალისანი გუთნები

მითითებები

26. უმეტეს შემთხვევაში, კლასის, ქვეკლასის, ან ჯგუფის სათაური, შესავალის ან შენიშვნის ქვესათაური (იხ. 29-ე პუნქტი) შეიცავს ფრჩხილებში ჩასმულ ფრაზას, რომელიც მიუთითებს კლასიფიკაციის სხვა რუბრიკაზე. ასეთი ფრაზა, რომელსაც მითითება ეწოდება, უჩვენებს, რომ მითითებით (ან მითითებებით) აღნიშნული ობიექტი შედის კლასიფიკაციის სხვა რუბრიკაში (ან რუბრიკებში).

მაგალითი: A 01 B 1/00 ხელის იარაღები (გაზონის კიდეების გასაკრეჭ მოწყობილობები A 01 G 3/06)

მითითებების ფუნქცია

27. მითითებას აქვს შემდეგ ფუნქციათაგან ერთ-ერთი:

- ა) **მოცულობის შემღვავა** – ასეთი ტიპის მითითება განსაზღვრავს ობიექტს, რომელიც გადატანილია სხვა რუბრიკაში. მიუხედავად იმისა, რომ შედის რუბრიკის სათაურში, სადაც მოცემულია მითითება და ძალიან მნიშვნელოვანია იმ რუბრიკის სწორი გაგებისა და გამოყენებისათვის, სადაც ის ჩნდება. სათაური აღწერს გარკვეულ სფეროს, რომელსაც მიეკუთვნება ობიექტი. მაგრამ ობიექტი, რომელიც ფაქტობრივად მოცემულია ამ რუბრიკაში, ასახავს სფეროს მხოლოდ იმ ნაწილს, რომელიც დარჩა მითითებებით განსაზღვრული ყველა ობიექტის გამორიცხვის შემდეგ (იხ., მაგალითად, A 01 B 1/100 ჯგუფი).
- ბ) **უპირატესობის მითითება** – მითითება, რომელიც ადგენს სხვა რუბრიკის «უპირატესობას», გამოიყენება, თუ ობიექტი კლასიფიცირებადია ორი რუბრიკის შესაბამისად ან თუ, საკლასიფიკაციო ობიექტის სხვადასხვა ასპექტი მოცულია სხვადასხვა რუბრიკით, ასეთი ობიექტი, სასურველია, კლასიფიცირდეს აღნიშნული რუბრიკებიდან ერთ-ერთით (იხ., მაგალითად, A 01 K 31/07 ჯგუფის მითითება). უპირატესობის ასეთი მითითება ხშირად გვხვდება ქვეჯგუფების დონეზე; ზოგიერთ შემთხვევაში, თუ ის თანაბრად ეხება რამდენიმე ჯგუფს, შეიძლება შეიცვალოს შენიშვნით უფრო მაღალ დონეზე (იხ., მაგალითად, შენიშვნა (2) A 61 M ქვეკლასის სათაურის შემდეგ).
- გ) **მითითება** – ზოგჯერ მითითებები აღნიშნავს, თუ სად შეიძლება ვეძიოთ მსგავსი ობიექტი, რომელსაც არ მოიცავს ამ მითითების შემცველი რუბრიკის სათაური (იხ., მაგალითად, A 61 H 33/14 ჯგუფი).

მითითებების გამოყენება და ინტერპრეტაცია

28. ზოგიერთი დეგალი მითითებების გამოყენებასა და ინტერპრეტაციასთან დაკავშირებით:

- ა) მითითება, როგორც წესი, მოთავსებულია იმ სათაურის ბოლოს, რომელსაც იგი ეკუთვნის. თუ სათაური შედგება ორი ან მეტი ნაწილისაგან, მითითება ერთვის ბოლო ნაწილს, რომელსაც იგი ეხება. გამონაკლის შემთხვევებში, მითითება არ ეხება მის წინ არსებულ ყველა ნაწილს, მაგრამ ასეთ შემთხვევაში იგი კონტექსტიდან გამომდინარეობს.

მაგალითად: B 02 B 3/00 გამომარცვლა, აქერცვლა, გამოყოფა (საფეიქრო ნაწარმის ბოჭკოს გამოყოფა D 01 B 1/14); გაპრი-ალეზა; ფხების მოცილება (სალეწ მანქანებში A 01 F 12/42); ჩანასახების გამოცალკეება.

- ბ) მითითება, რომელიც მოთავსებულია კლასის, ქვეკლასის, ან ჯგუფის შემდეგ, შეეხება იერარ-

- ქიულად ყველა ქველა რუბრიკას.
- გ) მითითება შესავალის ან შენიშვნის ქვესათაურში ეხება ყველა ჯგუფს, რომელიც შედის შესავლის ან შენიშვნის ქვესათაურში.
 - დ) კლასიფიკაციის ნაბეჭდ ვარიანტში, იმავე ქვეკლასის სხვა რუბრიკაზე მითითებისას აღნიშნულია მხოლოდ ამ უკანასკნელი ჯგუფის ნომერი ქვეკლასის აღნიშვნის გარეშე.
მაგალითად: B 62 L 3/00 მუხრუჭების ამძრავი მექანიზმები (მუხრუჭების ამძრავი, რომელიც ირთვება სატერფულზე უკულაჭერი-სას 5/00; დრეკადი გვარლი ან ბოუდენის გვარლები F 16 C 1/10); მათი განლაგება.
 - ე) როგორც წესი, მითითებული რუბრიკა სწორადაა შერჩეული, მაგრამ შესაძლოა, საძიებო თემატიკისთვის არ იყოს ერთადერთი. ამიჯომ გასათვალისწინებელია დანარჩენი რუბრიკებიც, რომლებიც ექვემდებარება მითითებაში აღნიშნულ რუბრიკას.
 - ვ) მითითებები, რომლებიც ეხება ობიექტის სხვადასხვა საგანს და მოცემულია იმავე რუბრიკაში, გამოყოფილია მძიმით, ხოლო ამ რუბრიკის საკლასიფიკაციო სიმბოლოები მოყვანილია მხოლოდ მითითებების ბოლოს.
მაგალითად: A 01 D 91/04 ნიადაგის ზედაპირზე მზარდი კულტურების აღების ხერხები (ხილის, სვიის 46/00).
 - ზ) მითითებები, რომლებიც ეხება სხვადასხვა რუბრიკაში მოცემული ობიექტის განსხვავებულ საგანს, გამოყოფილია წერტილ-მძიმით და იკითხება დამოუკიდებლად.
მაგალითად: A 01 K 1/00 ცხოველთა ბაგური შენახვა; სათანადო აღჭურვილობები (ნაგებობათა შენება, მათი მახასიათებლები E 04; ნაგებობათა ვენტილაცია F 24 F).
- გამონაკლისი დასაშვებია, როდესაც მითითებათა ძირითადი ნაწილი ერთგვარია; ასეთ შემთხვევაში, საერთო გექსტი მოცემულია ერთხელ, ხოლო სხვადასხვა სიმბოლო გამოყოფილია მძიმით.

მაგალითად: A 01 H 3/00 ფენოტიპების მოდიფიკაციის ხერხები (4/00-ს აქვს უპირატესობა; მცენარეთა არაქიმიური დამუშავება, რაც მხოლოდ მცენარეთა ზრდაზე მოქმედებს A 01 C 7/00, ქიმიური დამუშავება A 01 N 25/00 – 65/00).

შენიშვნები

29. კლასიფიკაციაში არის შენიშვნები, რომლებიც ეხება განყოფილებას, ქვეგანყოფილებას, კლასს, ქვეკლასს, შესავლის ქვესათაურს ან ჯგუფს და კლასიფიკაციის გარკვეული ნაწილისათვის განსამზღვრავს სპეციალურ სიგყვებს, ფრაზებსა და რუბრიკების მოცულობას, ან მიუთითებს, თუ როგორ არის ობიექტი კლასიფიცირებული.

- მაგალითად: F 42 ეს კლასი შეიცავს ასევე, პრაქტიკისა და გრენინგის საშუალებებს, რომელსაც შეიძლება ჰქონდეს იმიტაციის ასპექტები, მიუხედავად იმისა, რომ იმიტატორები ჩვეულებრივ, შედის კლასში G 09.
- B 22 F „ლითონის ფხვნილი“ მოიცავს ფხვნილებს არალითონური მასალების მნიშვნელოვანი შემცველობით.
- B 01 J 31/00 ამ ჯგუფში კლასიფიცირებისას წყლის შემცველობა მხედველობაში არ მიიღება.

ეს შენიშვნები ვრცელდება მხოლოდ კონკრეტულ რუბრიკებზე და ნებისმიერ ზოგად სახელმძღვანელო შენიშვნასთან წინააღმდეგობის შემთხვევაში, აუქმებს მას.

მაგალითად: შენიშვნა (1) C 08 F ქვეკლასის სათაურის შემდეგ აუქმებს C განყოფილების შემდეგ მოთავსებულ შენიშვნას.

წინა რელაქსიაში შეტანილი ცვლილებების მითითება

30. მომხმარებლის დახმარების მიზნით, სსკ-ის გექსტი ისეა წარმოდგენილი, რომ ჩანდეს, რა სახის ცვლილებები განიცადა კლასიფიკაციამ წინა რელაქსიებთან შედარებით.

ამ კლასიფიკაციის რედაქციაში გამოყენებულია შემდეგი მითითებები:

ა) კურსივით (დახრილი შრიფტით) გამოყოფილი გექსტი ნიშნავს, რომ მეექვსე რედაქციასთან შედარებით მოცემული ჩანაწერი:

(i) ახალია; ან

(ii) განიცადა ისეთი ცვლილებები (ფორმულირებაში ან იერარქიულად), რომ შეიცვალა ერთი ან მეტი ჯგუფის მოცულობა (იხ. პუნქტები 43-48); ან

(iii) ამოღებულ იქნა (იხ. (ბ) ქვემოთ).

(i) და (ii) შემთხვევაში კურსივით გამოყოფილ რუბრიკას ახლავს კვადრატულ ფრჩხილებში ჩასმული არაბული რიცხვი (იხ. (ბ) ქვემოთ).

ბ) რუბრიკის ბოლოს კვადრატულ ფრჩხილებში ჩასმული არაბული ციფრი (მაგალითად, [4] ან [7]) მიუთითებს კლასიფიკაციის იმ რედაქციაზე, რომელშიც წინა რედაქციებთან შედარებით ჩანაწერი არის

(i) ახალი, ან

(ii) მან განიცადა ცვლილებები (ფორმულირებაში ან იერარქიულად), რამაც გავლენა იქონია ერთი ან მეტი ჯგუფის მოცულობაზე.

ერთსა და იმავე ჩანაწერს შეიძლება ერთვოდეს კვადრატულ ფრჩხილებში ჩასმული ორი ან მეტი არაბული ციფრი (მაგალითად [4,7] ან [2,4,6]), რომელიც აღნიშნავს, რომ ციფრებით მითითებულ თითოეულ რედაქციაში, წინა რედაქციასთან შედარებით, შეგანილ იქნა ზემოთ, (i)-ში ან (ii)-ში მოცემული ერთ-ერთი ცვლილება.

კლასიფიკაციაში პირველი რედაქციიდან არსებულ ჩანაწერს, რომელიც შეიცვალა (ფორმულირება ან იერარქიული ადგილი) მხოლოდ მეშვიდე რედაქციაში და გავლენა მოახდინა ერთი ან მეტი ჯგუფის მოცულობაზე, ერთვის [1,7].

შენიშვნას, რომელიც ახალია წინა რედაქციასთან შედარებით, ერთვის კვადრატულ ფრჩხილებში ჩასმული არაბული ციფრი და მიუთითებს იმ რედაქციაზე, რომელშიცაა შეგანილი.

შენიშვნას, რომელიც, მეექვსე რედაქციასთან შედარებით, მნიშვნელოვნად არის შეცვლილი მეშვიდე რედაქციაში ისე, რომ გავლენას ახდენს ობიექტის კლასიფიცირებაზე, ბოლოს ემატება კვადრატულ ფრჩხილებში ჩასმული არაბული ციფრი 7.

გ) ამოღებული ჯგუფების სიმბოლოები, ე. ი. იმ ჯგუფებისა, რომლებიც იყო კლასიფიკაციის მეექვსე რედაქციაში, მაგრამ აღარ არსებობს მეშვიდე რედაქციაში, დაბეჭდილია დახრილი შრიფტით და მიუთითებს, მოცემული ობიექტი მეშვიდე რედაქციის რომელ ადგილზე იქნა გადაგანილი ან რომელი ჯგუფით არის მოცული.

მაგალითები: 50/02 (მოცულია 43/06, 43/10)

57/32 (გადაგანილია 57/05)

13/10 (გადაგანილია 19/015, მოცულია 17/14)

იმ ჯგუფების სიმბოლოები, რომლებიც ამოღებულია მეექვსე ან წინა რედაქციებიდან, არ არის მეშვიდე რედაქციაში.

ბერმინოლოგია

31. შესაძლებელი გახდა მხოლოდ გექსტის შემზღვეული რაოდენობის სტანდარტიზება. ამიგომ, ნებისმიერი სათაურის ან გექსტის ინტერპრეტაციის დროს ხშირად სასარგებლოა მასთან დაკავშირებული ქვეკლასების ან ჯგუფების გათვალისწინება.

გამოთქმები: „გათვალისწინებაულია“, „მოცულია“, „შეღის“

32. გამოთქმა „გათვალისწინებულია“ ნიშნავს ისეთი მახასიათებლების არსებობას, რომლებიც იძლევა მოცემული ობიექტის მითითებულ რუბრიკაში კლასიფიცირების შესაძლებლობას (იხ. მაგალითად, B 60 Q 11/00). გამოთქმებს „მოცულია“ და „შეღის“ იგივე მნიშვნელობა აქვს, რაც გამოთქმას – „გათვალისწინებულია“ (იხ., მაგალითად, A 41 F 18/00).

გამოთქმები, რომლებიც გამოიყენება ღარჩენილი ობიექტების აღსანიშნავად

33. ჯგუფის სათაურში გამოყენებული გამოთქმა «სხვაგვარად არ არის გათვალისწინებული» ნიშნავს, რომ მოცემული ობიექტი «არ არის გათვალისწინებული იგივე ან ნებისმიერი სხვა ქვეკლასის რომელიმე სხვა ჯგუფში» (იხ. მაგალითად, B 65 D 51/00). ამ გამოთქმას იგივე მნიშვნელობა აქვს, როდესაც გვხვდება კლასის ან ქვეკლასის სათაურში.

34. ჯგუფები, რომელთა ტექსტებში არის გამოყენებული გამოთქმები – «სხვა ...», «... ჯგუფებში არ არის გათვალისწინებული ...» და «სხვადასხვა», მოიცავს ობიექტებს, რომელთა მახასიათებლები ქვე-კლასის რომელიმე ჯგუფში არ არის გათვალისწინებული (იხ. მაგალითად, 41 F 18/00, B 05 C 21 /00, A 42 C 3/00, შესაბამისად).

35. ზოგიერთ ქვეკლასში არის ძირითადი ჯგუფები, რომლებშიც ობიექტი განსაზღვრულია «ერთზე მეტი წინა ჯგუფის შესაბამისად» ან მსგავსი ტექსტით. ასეთი ჯგუფები მოიცავს:

- ა) ობიექტს, რომელიც შეიცავს მრავალ ალტერნატივას, რომელთაგან თითოეული ცალ-ცალკე მოცულია ერთ-ერთი წინა ჯგუფით, მაგალითად C 08 F 291/00; ან
- ბ) ობიექტს, რომელიც შედგება მახასიათებლების კომბინაციისაგან და მთლიანად არ არის მოცული ერთ-ერთი წინა ჯგუფით, მაგრამ თითოეული მახასიათებელი მოცული უნდა იყოს ერთ-ერთი წინა ჯგუფით, მაგალითად, E 05 C 21/00.

გამოთქმები: „ი. ი.“, „მაგალითად“

36. გამოთქმას – „ი. ი.“ აქვს „ტოლფასის“ მნიშვნელობა. ამიგომ, „ე. ი.“-ით დაკავშირებული ორი ფრაზა მიხედვით უნდა იქნეს ეკვივალენტურად, ანუ ერთი ფრაზა განსაზღვრავს მეორეს.

მაგალითად: A 01 B 3/06 . . ალტერნატიული შესაძლებლობის გარეშე, ე. ი. არ შეუძლია კანა გზაზე გააკეთოს მომიჯნავე კვალი.

37. გამოთქმა – „მაგალითად“ არ მღუდავს წინა ფრაზის მნიშვნელობას, ის უბრალოდ განმარტავს მას. ამ გამოთქმას შეიძლება ჰქონდეს შემდეგი მნიშვნელობები:

- ა) მაგალითის საშუალებით – იძლევა წინა ტექსტის გიჰურ ილუსტრაციას.
მაგალითად: A 42 C 5/00 ფურნიტურა ან თავსაბურავის გასაწყობი მასალები, მაგალითად, ლენტები
- ბ) მოიცავს – როდესაც საჭიროა ყურადღების გამახვილება იმ ფაქტზე, რომ გამოთქმის „მაგალითად“ შემდეგ, ტექსტი ზუსტად არის მოცული წინა ტექსტით მიუხედავად იმისა, რომ ეს შეიძლება ამკარად არ გამომდინარეობდეს ტექსტიდან.
მაგალითად: B 62 B 7/00 ეგლები ბავშვებისათვის; საბავშვო ეგლები, მაგალითად, ეგლები თოჯინებისათვის
- გ) კერძოდ – როდესაც საჭიროა თემატიკის აღნიშვნა, რომელიც მოცულია, მაგრამ რომლისთვისაც არ არის გათვალისწინებული შემდგომი დანაწევრებული ქვეჯგუფი.
მაგალითად: A 45 D 1/00 თმის დასახვევი მაშები, ე.ი. ცხელი მაშები; უთოები, ე.ი. ცხელი უთოები, მათი საკუთნო
1/02 . მაშის შიგნიდან გასახურებელი საშუალებები, მაგალითად, თხევადი საწვავით
1/04 . . ელექტრობით (ელექტროსახურებელი ელემენტები, როგორც ასეთი H 05 B)

გამოთქმები: „A და B“, „A ან B“, „ან A, ან B, მაგრამ არა ორივე ერთად“

- 38. გამოთქმა:
 - „A და B“ გულისხმობს, რომ „A და B“ არსებობს ერთსა და იმავე მაგალითში ან განხორციელებაში;
 - „A ან B“ გულისხმობს, რომ არსებობს „A“ ან „B“, ან „A და B“ ერთად იმავე მაგალითში ან განხორციელებაში;
 - „ან A, ან B, მაგრამ არა A და B ერთად“ გულისხმობს „A“-ს ან „B“-ს არსებობას, მაგრამ არა ორივეს არსებობას იმავე მაგალითში ან განხორციელებაში.

გამოთქმები: „მოგადა“, „როგორც ასეთი“, „საპენიალურად აღაპტირებული ... თვის“

39. გამოთქმა „მოგადა“ მიუთითებს, რომ ობიექტი, მისი მახასიათებლების გამო, გამოყენების მიუხედავად, განიხილება 53(ა)-ე პუნქტში განსაზღვრულის შესაბამისად.

40. გამოთქმა „როგორც ასეთი“, ეხება მხოლოდ ობიექტს და არა იმ კომბინაციას, რომლის ნაწილსაც იგი წარმოადგენს. ეს გამოთქმა, არ ვრცელდება 53(დ)-ე პუნქტში მითითებული კატეგორიის ტექნი-

კურ ობიექტებზე. შესაბამისად, არ მიეკუთვნება ამ პუნქტში აღნიშნულ არც ერთ სხვა კატეგორიას.
 მაგალითად: G 01 T 3/08 ჯგუფში, რომელიც მოიცავს ნეიგრონული გამოსხივების გამოშვას ნახევარგამტარული დეექტორების საშუალებით, მითითება (ნახევარგამტარული ხელსაწყოები, როგორც ასეთი H 01 L 31/00) ნიშნავს, რომ ობიექტი, რომელიც ეხება მხოლოდ ნახევარგამტარულ დეექტორებს, შედის H 01 L 31/00 ჯგუფში და კლასიფიცირებულია G 01 T 3/08 ჯგუფში, თუკი ობიექტი ეხება მათ კომბინაციას სხვა ელემენტებთან ნეიგრონული გამოსხივების გასაზომად.

41. გამოთქმა „სპეციალურად ადაპტირებული . . . თვის“ ნიშნავს, რომ მოცემული ობიექტი მოდიფიცირებულია ან განსაკუთრებულადაა კონსტრუირებული მოცემული გამოყენების ან მიზნისათვის, 53(ბ)-ე პუნქტის შესაბამისად

მაგალითად: A 47 D აპეჩი, რომელის სპეციალურადაა ადაპტირებული ბავშვებისათვის.

A 47 H 13/16 . . . დასაკეცი ღვედები, კაკეები, სპეციალურად ადაპტირებული დასაკეცი ღვედებისათვის.

ბამოთქმა „ან მსგავსი“

42. გამოთქმა „ან მსგავსი“ ბოგჯერ გამოიყენება იმის საზღვასამელად, რომ კლასიფიკაციის რუბრიკა არ არის შეზღუდული სპეციალური ობიექტით, არამედ მოიცავს არსებითად იმავე მახასიათებლების მქონე მსგავს ობიექტებსაც.

მაგალითად: B 63 B 35/52 . . ბადეები, ელინგები ან მსგავსი, საფრენი აპარატების წყლი დან ამოსაწვეად.

რუბრიკების მოცულობა

43. განყოფილებების, ქვეგანყოფილებებისა და კლასების სათაურები მხოლოდ ზოგადად მიანიშნებს მათ შინაარსზე და, როგორც წესი, ზუსტად არ განსაზღვრავს სათაურის ზოგადი აღნიშვნით მოცულ ობიექტს. ჩვეულებრივ, განყოფილებისა თუ ქვეგანყოფილებების სათაურები ასახავს ობიექტის ხასიათს, ხოლო კლასის სათაური კი, ზოგადად მიუთითებს მის ქვეკლასებს მიკუთვნებულ ობიექტებზე. განყოფილებისა და ქვეგანყოფილებების სათაურებისაგან განსხვავებით, ქვეკლასების სათაურები, ყველა მითითებისა და შენიშვნის გათვალისწინებით, მაქსიმალური სიმზუსტით განსაზღვრავს ქვეკლასში შემავალ ობიექტებს. ძირითადი ჯგუფებისა და ქვეჯგუფების სათაურები, მითითებებისა და შენიშვნების გათვალისწინებით, ასევე, ზუსტად განსაზღვრავს მათში შემავალ ობიექტებს.

ქვეკლასები

44. ქვეკლასის ნამდვილი მოცულობა განისაზღვრება შემდეგი ელემენტების ერთობლიობით:

- ა) ქვეკლასის სათაური – მოკლედ, მაგრამ ზუსტად აღწერს კლასიფიკაციით მოცული ცოდნის სფეროს ნაწილის ძირითად მახასიათებლებს. ეს ნაწილი არის ქვეკლასის სფერო, რომელსაც მიეკუთვნება ყველა მისი ჯგუფი;
- ბ) ნებისმიერი მითითება – ერთვის ქვეკლასის ან კლასის სათაურს და ხშირად აღნიშნავს სათაურში აღწერილი სფეროს გარკვეულ ნაწილებს, რომლებიც მოცულია სხვა ქვეკლასებით და ამიგომ გამოირიცხება. ეს ნაწილები სათაურის მიხედვით, შეიძლება შეადგენდეს სფეროს არსებით ნაწილს და ამიგომ, მითითებები ისევე მნიშვნელოვანია, როგორც თვით სათაური. მაგალითად, A 47 D ქვეკლასის „ბავშვებისათვის სპეციალურად ადაპტირებული აპეჩი“ სათაურში შემავალი ობიექტის მნიშვნელოვანი ნაწილი კერძოდ, სასკოლო სკამები და მერხები, გამოირიცხება ქვეკლასის A 47 B გარკვეულ ჯგუფებზე მითითების გათვალისწინებით, ამრიგად, მნიშვნელოვნად ცვლის ქვეკლასის A 47 D მოცულობას;
- გ) ნებისმიერი მითითება ქვეკლასის ჯგუფებში ან ქვესათაურებში, რომელიც ეხება სხვა კლასის ან ქვეკლასის ობიექტს, შეიძლება შემოქმედებდეს მოცემული ქვეკლასის მოცულობაზე. მაგალითად, B 43 K ქვეკლასში – „საწერი და სახაზავი საკუთონი“ – მითითება 1/00 ჯგუფზე მიანიშნებს, რომ ინდიკატორული და მარეგისტრირებელი ხელსაწყოების საწერი ბუნიკები არ მიეკუთვნება მოცემულ ქვეკლასს, მაგრამ მოცულია G 01 D 15/16 ქვეჯგუფით, რითაც ეს მითითება ავიწროებს B 43 K ქვეკლასის მოცულობას.
- დ) ნებისმიერი შენიშვნა ან განსაზღვრება ქვეკლასის, კლასის, განყოფილებისა და ქვეგანყოფილებისათვის.

ფილების სათაურის შემდეგ, შეიძლება განსაზღვრავდეს სათაურში ან სხვა ადგილას გამოყენებულ ტერმინებს ან გამოთქმებს, ან განმარტავდეს დამოკიდებულებას ქვეკლასებსა და სხვა რუბრიკებს შორის.

მაგალითად:

- (i) შენიშვნები, რომელიც ერთვის ქვეკლასის სათაურს „ძრავები ან გუმბოები“, რომელიც მოიცავს F 01 – F 04 კლასებს განსაზღვრავს მთლიანად ქვეგანყოფილებაში გამოყენებულ ტერმინებს ან გამოთქმებს;
- (ii) შენიშვნა (1) F 01 ქვეკლასის სათაურის შემდეგ, განსაზღვრავს მის მოცულობას F 01 C – F 01 P ქვეკლასთან მიმართებაში;
- (iii) შენიშვნა C განყოფილების სათაურის შემდეგ, განსაზღვრავს ელემენტების ჯგუფებს.

ძირითადი ჯგუფები

45. ძირითადი ჯგუფის მოცულობა ინტერპრეტირებული უნდა იყოს მხოლოდ თავისი ქვეკლასის ნამდვილი მოცულობის ფარგლებში (როგორც ეს ზემოთ იყო აღნიშნული). აქედან გამომდინარე, ძირითადი ჯგუფის ნამდვილი მოცულობა განისაზღვრება მისი სათაურით, ძირითად ჯგუფთან ან ნებისმიერ სახელმძღვანელო ქვესათაურთან დაკავშირებული ნებისმიერი სათანადო მითითებით ან შენიშვნით. მაგალითად, ჯგუფი „საკისრები“ ქვეკლასში, რომლის სათაური შეზღუდულია მანქანების გარკვეული ტიპით, წაკითხულ უნდა იქნეს, როგორც – მოიცავს საკისრების მხოლოდ ისეთ ტექნიკურ პარამეტრებს, რომლებიც დამახასიათებელია ამ მანქანებისათვის, მაგალითად, საკისრების დაყენება ამ მანქანებში და ა.შ.; ყურადღება უნდა მიექცეს იმას, რომ ქვესათაურები მხოლოდ ინფორმაციულ ხასიათს ატარებს და, როგორც წესი, არ ცვლის მათში შემავალი ჯგუფების მოცულობას, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ასეთი ცვლილება აშკარად გამომდინარეობს კონტექსტიდან. აღნიშნულისაგან განსხვავებით, ქვესათაურების მითითებები ცვლის დაკავშირებული ჯგუფების მოცულობას.

ქვეჯგუფები

46. ქვეჯგუფის მოცულობა უნდა იყოს მსგავსადვე ინტერპრეტირებული მხოლოდ მისი ძირითადი ჯგუფის ან ნებისმიერი ქვეჯგუფის ნამდვილი მოცულობის ფარგლებში, რომლის შესაბამისად იგი დაყოფილია იერარქიულად აღნიშნულიდან გამომდინარე, ქვეჯგუფის მოცულობა განისაზღვრება მისი სათაურით, მასთან დაკავშირებული ნებისმიერი სათანადო მითითებით ან შენიშვნით.

- მაგალითად: B 64 C თხიფორმინაჰეი; მუშაუფორმინაჰეი (საგრანსპორტო საშუალებები საჰაერო ბალიშზე B 60 V)
- 5/00 მასგაბილიმბეული ზედაპირები (მასგაბილიმბეული მოწყობის ლობების მიმაგრება ფიუბელაჰე 1/26)
 - 5/06 . კილები (სპეციალურად ფრთებისათვის 5/08)
 - 5/08 . ფრთებზე დასაყენებელი ან მათზე დაყრდნობილი
 - 5/10 . რეგულირებადი
 - 5/12 . . ფიუბელაჰის ან გონდოლის შიგნით ასაკეცი.

- ა) ძირითადი ჯგუფი 5/00 წაკითხული უნდა იყოს ქვეკლასის სათაურის მოცულობის ფარგლებში, ე.ი., როგორც „თვითმფრინავების ან შევულმფრენების მასგაბილიმბეული ზედაპირები“. გარდა ამისა, მითითება, რომელიც ერთვის B 64 C ქვეკლასის სათაურს, „საგრანსპორტო საშუალებები საჰაერო ბალიშზე - B 60 V“ აღნიშნავს, რომ ყველა ობიექტი, რომელიც ეხება საგრანსპორტო საშუალებებს საჰაერო ბალიშით, კლასიფიცირებულია B 60 V ქვეკლასში ისე, რომ 5/00 ძირითად ჯგუფსა და მის ყველა ქვეჯგუფთან დაკავშირებით, მასგაბილიმბეულ ზედაპირიანი საგრანსპორტო საშუალებები საჰაერო ბალიშით კლასიფიცირებულია B 60 V ქვეკლასში. ჯგუფში 5/00 მოყვანილი მითითება – „მასგაბილიმბეული ზედაპირების მიმაგრება ფიუბელაჰე 1/26“ ნიშნავს, რომ ყველა ობიექტი, რომელიც მიეკუთვნება ფიუბელაჰე მასგაბილიმბეული ზედაპირების დამაგრებას, კლასიფიცირებულია 1/26 ქვეჯგუფში.
- ბ) ქვეჯგუფი 5/06, რომელიც იერარქიულად შედის 5/00 ძირითად ჯგუფში, წაკითხული უნდა იყოს, როგორც – „კილის ფორმის მასგაბილიმბეული ზედაპირები“. გარდა ამისა, ქვეჯგუფის 5/06 სათაურის შემდეგ მოყვანილი მითითება – ფრთებზე დასაყენებელი 5/08 – ნიშნავს, რომ, სპეციალურად ფრთებზე დასაყენებლად განკუთვნილი კილები კლასიფიცირებულია 5/08 ქვეჯგუფში.

- გ) 5/06 ქვეჯგუფის მსგავსად, 5/08 ქვეჯგუფი არის 5/00 ძირითადი ჯგუფის ერთწერტილიანი დანაყოფი და წაკითხული უნდა იქნეს, როგორც „ფრთებზე დასაყენებელი ან მათზე დასაყრდნობი მასგაბილიმბებელი ზედაპირები“, ხოლო 5/10 ქვეჯგუფი კი, როგორც – „რეგულირებადი მასგაბილიმბებელი ზედაპირები“.
- დ) 5/10 ქვეჯგუფის დაქვემდებარებული 5/12 ქვეჯგუფი წაკითხული უნდა იყოს მისი მოცულობის ფარგლებში, ე. ი., როგორც „ფიუზებლაციის ან გონდოლის შიგნით ასაკეცი რეგულირებადი მასგაბილიმბებელი ზედაპირები“.

47. ჯგუფის ქვეჯგუფებად დაყოფისას, თითოეული ქვეჯგუფი მოიცავს ჯგუფში შემავალი სფეროს მხოლოდ ცალკეულ ნაწილს; ამგვარად, ჯგუფს შეიძლება ჰქონდეს მხოლოდ ერთი ან მეტი ქვეჯგუფი. არ არის აუცილებელი ქვეჯგუფი მოიცავდეს ჯგუფის სფეროს დიდ ნაწილს; თითოეული ქვეჯგუფი უმთავრესად ისეა შედგენილი, რომ ძიების მოცულობის შემზღვევის მიზნით, ამ სფეროდან შესაძლებელია გამოყოს ობიექტის მკაცრად განსაზღვრული ნაწილი. ამრიგად, ნებისმიერი ჯგუფი შეიძლება შეიცავდეს ობიექტს, რომელიც შეესაბამება მის მოცულობას, მაგრამ:

- ა) არ არის გათვალისწინებული არც ერთ დაქვემდებარებულ ქვეჯგუფში;
- ბ) მოცულობა ძალიან ფართოა იმისათვის, რომ კლასიფიცირდეს ერთ დაქვემდებარებულ ქვეჯგუფში.

48. ნებისმიერი ქვეჯგუფის მოცულობა, მასზე იერარქიულად უფრო მაღალ ჯგუფთან შედარებით, განისაზღვრება მის სათაურში ერთი ან მეტი არსებითი მახასიათებლით. აქ შეიძლება გამოიყოს ორი შემთხვევა:

- ა) არსებითი მახასიათებლები არ არის ასახული იერარქიულად უფრო მაღალი ჯგუფის სათაურში.
მაგალითად: A 01 B 1/02 . ბარები; ნიჩბები
1/04 . . კბილებით
- ბ) არსებითი მახასიათებლები ასახულია იერარქიულად უფრო მაღალი ჯგუფის სათაურში.

მაგალითად: A 45 C 5/04 . ჩემოდნები; საბარგო კალათები
5/10 . . საბარგო კალათები

ობიექტს მოიცავს მხოლოდ ქვეჯგუფი, თუ მას არსებითი ნაწილის სახით გააჩნია ზემოაღნიშნული მახასიათებლები.

III. კლასიფიკაციის პრინციპები; კლასიფიკაციის წესები

49. მე-2 პუნქტში აღნიშნულიდან გამომდინარე, კლასიფიკაციის ძირითადი მიზანი გექნიკური ობიექტის მოძიების გამარტივებაა. შესაბამისად, მისი შედეგისა და გამოყენების პრინციპი უზრუნველყოფს ერთი და იმავე გექნიკური ობიექტის ერთგვაროვნად კლასიფიცირებას და მოძიებას კლასიფიკაციის ერთსა და იმავე ნაწილში. ეს უნდა იყოს ყველაზე შესაფერისი ადგილი ამ გექნიკურ ობიექტებზე ძიების ჩასაგარებლად. ყურადღება უნდა გამახვილდეს იმაზე, რომ თუ მითითება ეხება გამოგონებას ან გამოგონების გექნიკურ ობიექტს კატეგორიზაციის ან კლასიფიცირების თვალსაზრისით, შენიშვნები თანაბრად გავრცელდება გექნიკურ ობიექტებზე, რომლებიც არ არის გამოგონების შემადგენელი ნაწილი, როგორც ასეთი, მაგრამ მიეკუთვნება „დამატებით ინფორმაციას“, ქვემოთ მოცემული 83 (ბ) პუნქტის შესაბამისად.

გამოგონების ტექნიკური ობიექტი

50. გამოგონების გექნიკური ობიექტი შეიძლება იყოს ხერხი, პროდუქტი ან მოწყობილობა (ან მათი გამოყენების ხერხი) და ეს ტერმინები ინტერპრეტირებული უნდა იყოს ყველაზე ფართო მნიშვნელობით, შემდეგი მაგალითების შესაბამისად:

- ა) ხერხების მაგალითებია: პოლიმერიზაცია, ფერმენტაცია, სეპარაცია, ფორმირება, გრანს-პორცირება, საფეიქრო ნაწარმის დამუშავება, ენერჯის გადაცემა და გარდაქმნა, მშენებლობა, კვების პროდუქტების დამზადება, გამოცდა, მანქანებზე მუშაობის მეთოდები და მათი მუშაობის ხერხები, ინფორმაციის დამუშავება და გადაცემა.
- ბ) პროდუქტების მაგალითებია: ქიმიური ნაერთები, შემადგენლობები, ქსოვილები, სამრეწველო ნაწარმი.
- გ) მოწყობილობების მაგალითებია: ფიზიკური და ქიმიური პროცესების ჩასაგარებელი დანადგარები, იარაღები, მანქანები, სხვადასხვა გექნოლოგიური ოპერაციების შესასრულებელი მოწყობილობები.

51. უნდა აღინიშნოს, რომ მოწყობილობა შეიძლება განიხილებოდეს აგრეთვე, როგორც პროდუქტი, რადგან იგი წარმოებულია ხერხის საშუალებით. ტერმინი „პროდუქტი“ გამოიყენება პროცესის საბოლოო შედეგის აღსანიშნად, მიუხედავად მისი ფუნქციისა შემდგომ. მაგ., ქიმიური და საწარმოო პროცესის საბოლოო პროდუქტი მაშინ, როცა ტერმინი „მოწყობილობა“ გულისხმობს მის გამოყენებას განსაზღვრული დანიშნულებით ან მიზნით, მაგალითად, მოწყობილობა აირების გენერირებისათვის, მოწყობილობა ჭრისათვის.

კლასიფიკაციის რუბრიკები გამოგონების ტექნიკური ობიექტის კლასიფიცირებისათვის

52. კლასიფიკაცია მიზნად ისახავს გამოგონებასთან არსებითად დაკავშირებული ნებისმიერი გექნიკური ობიექტის, შეძლებისდაგვარად მთლიანად და არა შემადგენელი ნაწილების ცალკე კლასიფიცირებას.

53. საპატენტო დოკუმენტებში განხილული გამოგონების გექნიკური ობიექტი ეხება საგნის სპეციფიკურ ბუნებას, ფუნქციას, ან საგნის გამოყენების ხერხს. ამ კონტექსტში ტერმინი „საგანი“ აღნიშნავს, როგორც მატერიალურ, ისე არამატერიალურ გექნიკურ საგანს, მაგალითად, ხერხს, პროდუქტს, ან მოწყობილობას. ზემოაღნიშნული ასახულია კლასიფიკაციის სისტემაში. კლასიფიცირების მიზნით, გათვალისწინებულია შემდეგი რუბრიკები:

- ა) საგანი „მოგადად“, რომელიც ხასიათდება სპეციფიკური ბუნებით ან ფუნქციით; საგანი, რომელიც არ არის დამოკიდებული გამოყენების კონკრეტულ სფეროზე, ან უცვლელი რჩება გექნიკური თვალსაზრისით, თუ არ გავითვალისწინებთ მისი გამოყენების სფეროს.
 მაგალითად:
 1. F 16 K ქვეკლასი შეიცავს სარქველებს, რომლებიც ხასიათდება კონსტრუქციული ან ფუნქციური თავისებურებებით, ე. ი. სარქველის კონსტრუქცია არ არის დამოკიდებული მასში გამდინარე სითხის ბუნებაზე ან სისტემაზე, რომლის ნაწილიც ის არის.
 2. C 07 კლასი შეიცავს ორგანულ ქიმიურ ნაერთებს, რომლებიც ხასიათდება ქიმიური სტრუქტურით და არა გამოყენებით.
- ბ) საგანი, რომელიც „სპეციალურადაა აღაპგირებული ... თვის“ კონკრეტული გამოყენების ან მიზნისათვის, ე. ი. მოდიფიცირებულია ან კონსტრუირებულია სპეციალურად მოცემული

გამოყენების ან მიზნისათვის.

მაგალითად: A 61 F ქვეკლასი შეიცავს რუბრიკებს მექანიკური სარქველებისათვის, რომლებიც სპეციალურადაა ადაპტირებული ადამიანის გულში ჩასადგმელად.

გ) საგნის სპეციალური გამოყენება.

მაგალითად: C 05 კლასი შეიცავს ორგანულ ნაერთებს, რომლებიც გამოიყენება სასუქად.

დ) საგნის სხვა უფრო მსხვილ სისტემაში გაერთიანება.

მაგალითად: B 60 G ქვეკლასში რესორი გაერთიანებულია საგრანსპორტო საშუალების თვლის საკიდრებთან.

54. ზემოთ მითითებული ა) კატეგორიის რუბრიკებს ეწოდება „ფუნქციაზე ორიენტირებული რუბრიკები“. სხვა კატეგორიების რუბრიკებს კი – „რუბრიკები გამოყენების შესახებ“.

55. რუბრიკები, მაგალითად ქვეკლასები, სხვა რუბრიკებთან მიმართებაში ყოველთვის არ არის მხოლოდ ფუნქციაზე ან გამოყენებაზე ორიენტირებული.

მაგალითად: მიუხედავად იმისა, რომ F 16 K ქვეკლასი (სარქველები და სხვ.) და F 16 N (გაპოხვა) თავისი შინაარსით ფუნქციურებია, F 16 N ქვეკლასი შეიცავს გამოყენების შესახებ რუბრიკებს გარკვეული სარქველებისათვის, რომლებიც სპეციალურადაა ადაპტირებული საპოხი სისტემებისათვის (მაგალითად, F 16 N 23/00 – უკუსარქველები) და პირიქით, ქვეკლასი F 16 K შეიცავს გამოყენების რუბრიკებს ჩამკეტი სარქველების ფარსაკეცებში ან მკვეთარების საპოხი თვისებებისათვის (მაგალითად, F 16 K 3/36 – გაპოხვასთან დაკავშირებული თვისებები). გარდა ამისა, გამოთქმა „ფუნქციაზე ორიენტირებული რუბრიკა“ და „გამოყენების რუბრიკა“ ყოველთვის არ შეიძლება განიხილებოდეს როგორც აბსოლუტური. ამრიგად, მოცემული რუბრიკა სხვა რუბრიკასთან შედარებით შეიძლება მეტად იყოს ფუნქციურად ორიენტირებული, მაგრამ შეიძლება – უფრო ნაკლებადაც.

მაგალითად: B 60 D ქვეკლასი ეხება ზოგადად საგრანსპორტო საშუალებების მისაბმელ მოწყობილობებს, ამგვარად იგი უფრო ფუნქციურია, ვიდრე B 62 D 53/08 ქვეჯგუფი, რომელიც სპეციალურადაა განკუთვნილი მისაბმელიანი საწვევარას საყრდენ წრეზე გადასაბმელად, მაგრამ ნაკლებად ფუნქციურია, ვიდრე F 16 B ქვეკლასი, რომელიც განკუთვნილია შემაერთებელი კონსტრუქციული ელემენტებისათვის ზოგადად.

56. უნდა აღინიშნოს, რომ ყველა ტექნიკური ობიექტი არ არის ასახული 53-ე პუნქტში მოცემულ თითოეულ კატეგორიაში.

მაგალითად: კლასიფიკაცია არ ითვალისწინებს რუბრიკებს ისეთი დამახასიათებელი ფუნქციისათვის, როგორცაა დარგყმა, თუმცა ითვალისწინებს მოწყობილობებს, რომლებიც სპეციალურადაა ადაპტირებული დარგყმის განსახორციელებლად, მაგალითად, გოლფის ჯოხები (A 63 B 53/00), ხელის ჩაქუჩები (B25 D 1/00).

გამოგონებების ტექნიკური ობიექტების კლასიფიცირება

ზოგადი შენიშვნები

57. ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს გამოგონების იმ ტექნიკური ობიექტ(ებ)ის სწორ იდენტიფიცირებას, რომლებთანაც არსებითად დაკავშირებულია გამოგონება. ამასთან, კლასიფიკაციაში შესაბამისი ადგილის განსაზღვრისათვის, საგანი უნდა განიხილებოდეს 53-ე პუნქტის თითოეულ კატეგორიასთან მიმართებაში.

მაგალითად: თუ დოკუმენტში გახსნილია დგუში, მაშინ უნდა დავადგინოთ, არის თუ არა ტექნიკური ობიექტი თავად დგუში, ან არსებობს თუ არა სხვა ტექნიკური ობიექტი, მაგალითად, დგუში სპეციალურადაა ადაპ-

ტირებული გარკვეულ მოწყობილობაში გამოსაყენებლად ან დგუშე-
ბი მოთავსებულია უფრო დიდ სისტემაში, მაგ., შიგაწვის ძრავაში.

58. ხშირად ერთადერთი ინფორმაცია, რომელიც მნიშვნელოვანია მოცემული ობიექტის არსის გახ-
სნის დროს, არის ინფორმაცია, რომელიც დაკავშირებულია გამოყენების სფეროსთან; გამოყენების
შესახებ რუბრიკების მიზანია მთლიანად მოიცავს ასეთი ობიექტების კლასიფიცირება. ფუნქციაზე
ორიენტირებული რუბრიკები მოიცავს უფრო ფართო კონცეფციას, რომლის შესაბამისად ობიექტის
კონსტრუქციული ან ფუნქციური მახასიათებლები ვრცელდება გამოყენების ერთზე მეტ სფეროზე, ან
გამოყენების კერძო სფეროზე აპელირება არსებითი არ არის.

59. როდესაც საყოფმანოა, სად უნდა კლასიფიცირდეს გექნიკური ობიექტი, ფუნქციაზე ორიენტირე-
ბულ რუბრიკასა თუ გამოყენების რუბრიკაში, უნდა ვიხელმძღვანელოთ შემდეგი პრინციპით:

- ა) თუ განსაზღვრულია გარკვეული გამოყენება, მაგრამ მიჩნეულია, რომ იგი არ შეიცავს ობი-
ექტის არსებით გექნიკურ მახასიათებლებს, მისი კლასიფიცირება უნდა მოხდეს ფუნქციაზე
ორიენტირებულ რუბრიკაში, თუ ასეთი არსებობს. იგივე ეხება ისეთ შემთხვევას, როდესაც
მითითებულია ობიექტის გამოყენების რამდენიმე სფერო.
- ბ) თუ ობიექტის არსებითი გექნიკური მახასიათებლები მიეკუთვნება საგნის ბუნებას ან ფუნ-
ქციას, ასევე მისი გამოყენების სფეროს ან სპეციალურ სამარჯვს ან უფრო დიდ სისტემაში
გაერთიანებას, მაშინ მისი კლასიფიცირება უნდა მოხდეს როგორც ფუნქციაზე ორიენტირე-
ბულ, ისე გამოყენების რუბრიკებში, თუ ასეთები არსებობს.

60. უფრო დიდი სისტემის, როგორც მთლიანის, კლასიფიკაციისას ყურადღება უნდა მიექცეს მის
არატრივიალურ ნაწილებს ან დეტალებს, რომელთაც შეიძლება ჰქონდეთ საერთო გამოყენება. ამ
შემთხვევაში, აუცილებელია როგორც მთლიანი სისტემის, ისე მისი კონსტრუქციული ან ფუნქციური
დეტალების კლასიფიცირება.

მაგალითად: თუ დოკუმენტი ეხება მოცემული საგნის, მაგ., ფურცლოვანი
რესორების, ჩართვას უფრო დიდ სისტემაში, მაგ., საგრანსპორტო
საშუალების თვლების საკიდარში, ეს ნიშნავს, რომ იგი მიეკუთვნება
უფრო დიდ სისტემას და კლასიფიცირებული უნდა იყოს ამ სისტემის
რუბრიკაში (B 60 G). თუ დოკუმენტი ეხება თავად საგანსაც, მაგ.,
ფურცლოვან რესორს, დოკუმენტის კლასიფიცირება ასევე, აუცილე-
ბელია თავად საგნის (F 16 F) რუბრიკაში.

61. 53-ე პუნქტში მითითებული ნებისმიერი კატეგორიით აღნიშნულ რუბრიკაში კლასიფიცირების
ან ძიებისას, ყოველთვის უნდა გვახსოვდეს, რომ არსებობს სხვა კატეგორიებით აღნიშნულ რუ-
ბრიკებში კლასიფიცირებადი ან მოძიებადი ობიექტის რუბრიკა.

მაგალითად: ფილტრები, საერთოდ, კლასიფიცირებულია B 01 D ქვეკლასში,
ხოლო სპეციალური დანიშნულებისათვის ადაპტირებული ფილტრები
ან მათი კომბინაცია სხვა მოწყობილობებთან, კლასიფიცირებულია
გამოყენების რუბრიკებში, მაგ., A 01 J 11/06, A 47 J 31/06, D 01 D 1/10.

62. კლასიფიკაციის გამოყენებისას უნდა გვახსოვდეს, რომ გამოგონების გექნიკური ობიექტის
გამოხატვა შესაძლებელია სხვადასხვა ფორმით, როგორც ეს აშკარად ჩანს 63–69 პუნქტებიდან. იმ
შემთხვევაში, თუ ერთ-ერთი ასეთი ფორმისათვის კლასიფიკაციაში გათვალისწინებული არ არის
განსაზღვრული რუბრიკა, მაშინ კლასიფიცირებისას გამოიყენება სხვა ფორმებისათვის განკუთვნილი
ყველაზე შესაბამისი რუბრიკა.

ქიმიური ნაერთები

63. თუ გამოგონების ობიექტი ეხება ქიმიურ ნაერთს (ორგანულს, არაორგანულს, ან მაკრო-
მოლეკულურს), მისი ბუნების ანუ მისი ქიმიური სტრუქტურის შესაბამისად, კლასიფიცირებულია „C“
განყოფილებაში. თუ იგი აგრეთვე, ეხება გამოყენების გარკვეულ სფეროს, მაშინ ქიმიური ნაერთი
